სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №75

ქ. თბილისი 7 ივნისი 2018 წ.

„2018 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისთვის“ გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 7 მარტის №27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N631343, 28.05.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2018 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისთვის“ გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 7 მარტის №27 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ერთის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“, „თ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) 2018 წლის მაისი-ივნისი – შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ;

თ) 2018 წლის ივნისი – კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების წარდგენა საკონკურსო კომისიისათვის, განხილვა, შეფასება, ერთიანი რანჟირებული სიის შედგენა და გამარჯვებულთა გამოვლენა ;

ი) 2018 წლის ივნისი – გამარჯვებული პროექტ(ებ)ის ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დასაფინანსებლად დამტკიცება.“

„ლ) 2018 წლის ივნისი – გამარჯვებული პროექტ(ებ)ის ხელმძღვანელთან, კოორდინატორთან, წამყვან ორგანიზაციასთან, ძირითად პერსონალთან, თანახელმძღვანელსა და თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

ნინო გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი